ბრძანება N 01-01

8 იანვარი 2021

„საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსის გამოცხადების შესახებ“

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის, 35-ე მუხლის 1,2,3,4,5 პუნქტების, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2013 წლის 15 ოქტომბრის N 01/745 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ-
საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წესდების 25-ე მუხლის 1,2,4 პუნქტებისა და 26 -ე მუხლის საფუძველზე ,

ვბრძანებ:

2021 წლის 8 იანვრიდან გამოცხადდეს კონკურსი აკადემიური თანამდებობის დასაკავებელად **ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების** შემდეგ სპეციალობებზე:

1. სპორტული ღონისძიებების მართვა - **პროფესორის - 1 (ერთი) საშტატო ერთეული;**
2. სპორტის ეკონომიკა, მიკრო და მაკრო ეკონომიკა - **ასოცირებული პროფესორის - 1 (ერთი) საშტატო ერთეული;**
3. ლიდერობა - **ასოცირებული პროფესორის - 1 (ერთი) საშტატო ერთეული;**
4. ადამიანური რესურსების მენეჯმენტი სპორტში, სტრატეგიული მენეჯმენტი – **ასოცირებული პროფესორის - 1 (ერთი) საშტატო ერთეული**
5. ბიზნესი და სპორტი, ბიზნესის საფუძვლები - **ასოცირებული პროფესორის - 1 (ერთი) საშტატო ერთეული;**
6. სპორტის მარკეტინგი, სპორტული ღონისძიებების მართვა - **ასისტენტ პროფესორის - 1 (ერთი) საშტატო ერთეული;**

საკონკურსო თანამდებობაზე არჩევის წინაპირობები

- **პროფესორის თანამდებობაზე** 6 წლის ვადით შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო პედაგოგიური მუშაობის არა ნაკლებ 5 წლიანი გამოცდილება.
  პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის უფლება მიენიჭება იმ პირს, რომელიც დააგროვებს: მინიმუმ 180 ქულას, სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის 2019 წლის 28 თებერვლის 01-27 ბრძანებით დამტკიცებული **„საკონკურსო კრიტერიუმები აკადემიური პერსონალისათვის“** შესაბამისად.

- **ასოცირებული პროფესორის** აკადემიურ თანამდებობაზე 4 (ოთხი) წლის ვადით შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო პედაგოგიური მუშაობის არა ნაკლებ 3 წლიანი გამოცდილება.
  ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის უფლება მიენიჭება იმ პირს, რომელიც დააგროვებს: მინიმუმ 120 ქულას, სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის 2019 წლის 28 თებერვლის 01-27 ბრძანებით დამტკიცებული **„საკონკურსო კრიტერიუმები აკადემიური პერსონალისათვის“** შესაბამისად:

- **ასისტენტ პროფესორის** აკადემიურ თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი 3 წლის ვადით.
  ასისტენტ პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის უფლება მიენიჭება იმ პირს, რომელიც დააგროვებს: მინიმუმ 80 ქულას, სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის 2019 წლის 28 თებერვლის 01-27 ბრძანებით დამტკიცებული **„საკონკურსო კრიტერიუმები აკადემიური პერსონალისათვის“** შესაბამისად.

კონკურსში მონაწილე კანდიდატებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:

- განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე კონკურსში მონაწილეობის მიღების თაობაზე;
- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- CV
- დიპლომის ასლი;
- სამეცნიერო ხარისხის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის დედანი, სათანადოდ დამოწმებულ ასლთან ერთად;
- ორი ფოტოსურათი 3X4;

- სასწავლო კურსის/კურსების სილაბუსი, რომლის წაყვანასაც გეგმავს კონკურსანტი სასწავლო უნივერსიტეტში, როგორც ნაბეჭდი ისე ელექტრონული ვერსია (ელექტრონული ვერსია შესაძლებელია წარმოდგენილი იქნას დისკით ან გამოგზავნილი იქნას უნივერსიტეტის ელექტრონულ მისამართზე **Sportuni.edu.ge**.
- ბოლო 5 წელიწადში განხორციელებული კვლევითი სამუშაოების ანოტაცია და გამოქვეყნებული შრომების ნუსხა;
- სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

საბუთები მიღება შესაბამის ფაკულტეტის დეკანატში დაიწყოს გამოცხადებიდან ერთი თვის შემდეგ, 2021 წლის 8 თებერვლიდან - 2021 წლის 22 თებერვლის ჩათვლით, ყოველდღე 10:00-დან 15:00 საათამდე.

საბუთების განხილვა მოხდეს 2021 წლის 23 თებერვლიდან 1 მარტის ჩათვლით.

კონკურსის შედეგები გამოქვეყნდეს 2021 წლის 2 მარტს შესაბამისი საკონკურსო კომისიის საინფორმაციო დაფასა და უნივერსიტეტის ვებგვერდზე: Sportuni.edu.ge.

კონკურსში გამარჯვებულ პირებთან შრომითი ხელშეკრულებები გაფორმდეს 2021 წლის 15 მარტიდან.

კონკურსანტს უფლება აქვს კონკურსის შედეგების გამოქვეყნებიდან 2 დღის განმავლობაში შეიტანოს განცხადება/საჩივარი საკონკურსო კომისიაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ საჩივარი არ მიიღება.

კონკურსის ჩატარების დებულება და აკადემიური თანამდებობის დაკავების

წესი იხილეთ ვებგვერდზე Sportuni.edu.ge..

რექტორი **ჯემალ ძაგანია**